კვირა, 12 სექდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 12 სექდემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	,,	9 ,, 50 ,,
10	,,	8 ,, 75 ,,
9	,,	8 ,, — ,,
8	,,	7 ,, 25 ,,
7	,,	6 ,, 50 ,,
6	,,	6 ,, — ,,
5	,,	5 ,, 50 ,,
4	,,	4 ,, 75 ,,
3	,,	3 ,, 50 ,,
2	,,	2 ,, 75 ,,
1	,,	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 211 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 211

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ სექდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 „ 25 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საგურამოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

[illegible]ოია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—32). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—8).

გამოვიდა და ისყიდება

ახალი წიგნი

უცხო ენათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე.

ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—5).

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

მისაღები ეგზამენები

ტფილისის საგლოსნო სკოლაში

დანიშნულია 25—29 ენკენისთვემდე, (2—2).

სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური·

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სექდემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.
4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.
5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. 4—4

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ფურდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ლ. ი. კამოევი—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

მ. ი. კიმონტი—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

გრ. მ. ხობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ლ. მ. მონინი. ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. ს. მუსხელაშვილი—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

საღამოთი:

გრ. ვ. სობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

ტ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფ[illegible] იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

გ. ს. ელში. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова

შლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

გენერალ დრაგომიროვის წერილი. — გენერალ კუროპატკინის იმედი. — მუკდენთან. — სახალინი.—ძველი მუკდენი.

«პეტერბურგის გაზეთი» მეკითხებაო,—ამბობს გენერალი დრაგომიროვი «რაზვედჩიკში»,—როგორ მოხდა, რომ იაპონიის ჯარი თან და თან მოიწევს, და მე კი ვამტკიცებდი, გენერალი კუროპკი ფინ-ხუან-ჩენიდგან ფეხს არ მოიცვლისო? «ამის მთქმელს თითონვე შეუძლიან თავის თავს უპასუხოს, თუ რომ მოიგონებს, რომ მე ომის პირველ ხანას შესახებ ვამბობდი და ის კი მეორე ხანაზე ლაპარაკობს.

პირველად იაპონელებს მხოლოდ ის განზრახვა ჰქონდათ, რომ პორტ-არტურისთვის ალყა შემოერტყათ, და თავისი ჯარი ამ განზრახვის შესაბამად დააბანაკეს. ეხლა კი, როდესაც დაატყეს, რომ იმათ ბევრად მეტი ჯარი ჰყავთ და წინ ვერავინ დაუდგება, ჩვენს ჯარზედაც გამოილაშქრეს. ამას წინად ვერავინ იფიქრებდა; ეხლა-კი ახალმა ძალამ ახალი განზრახვა დაჰბადა.

ჩემი მოსაზრება მართალი ყოფილა, რადგან 3½ თვეს კუროკი ფინ-ხუან-ჩენს არ მოშორებია; მხოლოდ მოსაჩვენებლად ჩრდილოეთისკენ ჰგზავნიდა რაზმებს და ისევ უკანა სწევდა».

—

ლონდონის გაზეთები ამბობენ, იაპონია ახალ სავარაუდო ჯარს აგროვებს, რომელშიაც 120,000 კაცი იქნებაო. იმედია იაპონელები მალე დაეცემიან მუკდენს. (რ. ვ.).

—

«პარიჟის პტი» იუწყება გენერალ კუროპატკინის ერთს კარგს მეგობარს შემდეგი დეპეშა მოსვლიაო: ჩვენი საქმე ბევრად გაუმჯობესდა. მე იმედი მაქვს მტკიცედ დავუხვდე იაპონელებს და იმათზე გავილაშქრო კიდეც ეხლა ჯანმრთელად ვარ». (რ. ვ.)

—

გაზეთი „დელი მალის“ კორესპოდენტი იუწყება, ჩინელები მრავლად გროვდებიან მუკდენში, რომ თავი შეაფარონ, როგორც იკრიბებოდნენ ხაიჩენსა და ლიაოიანში. მრავალ ჩინელს შეხვდები ქუჩებში ცოლ-შვილითა და ქონებით, რომლებიც იაპონელებს გამოურბიან. იმათი სოფლები იაპონელებს სულ გადაუბუგავთ. მთელი ქონება, თუ რამ გადარჩენიათ, პაწაწა ურმებით წამოუღიათ, რომელშიაც გამხდარი ჯორი ან სახედარი უბიათ. საწყლებს სიმშილით სიკვდილი მოელის, თუ რომ რუსებმა არ შეიბრალეს და ამ ზამთარს ბინა არ მისცეს. დარბეულნი ყველა მხრიდგან მოისწაფიან მუკდენისკენ. სინმინტინამდე სულ დაცალიერდა. (რ. ვ.).

—

«ლოკ. ანც»-ის სამხედრო თანამშრომელი გრაფი პფეილი ამბობს, შესაძლოა იაპონელები ეხლა კუნძულ სახალინს დაეცნენ და დაიპყრონო· ამ კუნძულს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რადგან შეუძლიანთ მდინარე ამურის ბოლოს შემოჰყვნენ, ქალაქი ნიკოლაევსკი დაიპყრონ და ზემოდან წამოვიდნენო ან არა სრულიად ჩაჰკეტონ ეს მდინარე. რომელზედაც გემები დადიან. მთელ ოლქის ბედ იღბალი ამ მდინარეზეა დამოკიდებულიო. (რ. ს.).

—

«დეილი ტელეგრაფის» კორესპონდენტი იუწყება თიანძინიდგან, იაპონელებს მოლაპარაკება აქვთ ერთ ამერიკელ სავაჭრო ამხანაგობასთან, რომელსაც განზრახვა აქვს კუნძულის ახალინი აიღოს იჯარით 50.000,000 მანათად წელიწადში.

«ჯერ ძილო, მერე სიზმარო»—სწორედ ამ ამბავს მოუხდება (პ. ვ).

—

მ უ კ დ ე ნ ი.

მანჯურიის ძველი სატახტო ქალაქი მუკდენი აზიის სხვა ქალაქებს არ წააგავს. ამისთანა სწორე ქუჩებიანი და სიმეტრიულად აშენებული ქალაქი, ვგონებთ, არც ერთი სხვა ქალაქი არ არის დედამიწის ზურგზე.

ქალაქი ფარგლით გამოზომილი ოთხკუთხეა. გარედგან ოთხს მხარეს სწორე

კედლები აქვს შემოვლილი. კედლის სიგრძე ერთ ვერსამდეა და ამ სახით ქალაქს ერთის ოთხ-კუთხიან ვერსის მანძილი უჭირავს. ყოველ კედელში ორი ალაყაფია, და ქალაქს სულ რვა ალაყაფი აქვს. ყოველ ალაყაფიდგან მოპირდაპირე კედლის ალაყაფამდე სწორე ქუჩაა გაჭრილი, ასე რომ ორი ქუჩა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ მიდის და ორიც ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ. ამ რიგად ქალაქი ჭადრაკის ფიცარსავით არის სწორედ დაყოფილი და ცხრა ნაჭრად განაწილებული. ამიტომ შეიძლება, მუკდენს გეომეტრიული ქალაქი ვუწოდოთ.

მუკდენის კედლები, თითქო კომპასით არის აშენებულიო, ისე სწორედ არის შეთანხმებული მზის ამოსავალ-ჩასავალთან, —ყოველთვის ცხადია, სად აღმოსავლეთია, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. მზიან დღეს ყველას შეუძლია უცდომლად გამოიცნოს დღის ჟამი, ვითომც მზის საათი სდგომია. ამიტომ, შესაძლოა მუკდენს, გეომეტრიულის გარდა, ასტრონომიული ქალაქიც ვუწოდოთ.

ამ მხრივ ქალაქი მუკდენი მართლა რომ საუცხოვო სანახავია.

რადგან ქალაქი ესე სწორედ არის დაყოფილი, არც ერთს მის ადგილს არავითარი უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს და ყველა მხარეს კაცი ერთგვარად უნდა ეტანებოდეს, მაგრამ ეს ესე არ არის. კაცი ყოველთვის კაცად რჩება, მის ფანტაზიასა და ჟინს საზღვარს ვერ დაუდებთ.

როგორც, მაგალითად, პარიჟელებს ამოჩემებული აქვთ ბულონის ბაღის ერთი ხეივანი და ყველანი იქ ირევიან, როდესაც სხვა ხეივნები სრულიად ცარიელია, ანუ, როგორც თავისუფლებისა და რესპუბლიკის ქუჩებზე იმავ პარიჟში მოსეირნე ხალხი მხოლოდ ერთს ტროტუარსა სტკეპნის და პირდაპირ ტროტუარზე კი იმავე დროს თითქმის არავინა სჩანს, გარდა უცხოელებისა, ბებრებისა და მათ ფინიებისა,—სწორედ ესეა მუკდენშიაც—ხალხი მხოლოდ ერთს მხარეს ირევა, ყოველთვის—მარჯვნივ, აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ რომ მიაქციო პირი და სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ. ამ რიგად ორი მარჯვენა მხრის ქუჩა ყოველთვის სავსეა და ორი მომარცხენე-კი ცალიერი.

ამიტომ მომარჯვენე ქუჩები უფრო ლამაზად და ძვირფასად არის მოწყობილი: მშვენიერი სასახლეებია გამოჭიმული და მრავალი სავაჭრო საწყობ-მაღაზიებია. თითქმის ყოველ მაღაზიის შესავალთან გრძელი მრავალ ტოტებიანი ბოძიოთაყვირი არის ამართული, წითლად შეღებილი და ოქროს ფრად მოვარაყებული. ბოძზედ საზარელ სანახაობის ვეშაპებია დახატული და მის წვეტზე ლამაზი და კუდ-გაშლილი ფარშევანგია დამაგრებული.

მორთულ სახლების წინ ბაღჩებია და ხვეული ყვავილები ფანჯრებს ბადესავით გადაჰფარვია. შიგნიდგან წამს-წამ ფერუმარილ წასმული და თავის კეფაზე თმა ხშირად აწოწილავებულ ქალები გამოიყურებიან. ფანჯარასთან დარბაისელი მანდარინები სხედან და ლორნეტით გამვლელ გამოვლელს მედიდურად დაჰყურებენ.

ქუჩებში ხშირად შეხვდებით პატარა კოხტა მოვარაყებული დახურულ ეტლებს (კარეტა), რომელსაც ჯორცხენები მიაქროლებენ; თან მორთულ-შეიარაღებული მხედრები მოსდევენ. ეტლი რომ სახლის კარებზე გაჩერდება, მეეტლე ერთის ხელით გახურებულ ჯორცხენებს იკავებს და მეორეთი ეტლის კარს აღებს. იქიდგან ჯერ კოხტა ფეხსაცმელი გამოჩნდება, მერე მაღალ-ყელიანი აბრეშუმის წინდები, მერე ლამაზი მოქარგული კაბა (ქუმა) და ბოლოს აწოწოლავებული თმა. ერთს წამს თვალწინ გაგირბენს ქალი და სასახლეში მიიმალება.

ამ ძველ ციხე-ქალაქს მცენარეულობა აკლია. ამის გამო ჩრდილს ვერ იპოვი სიცხე-პაპანაქებაში და ჰაერიც სასიამოვნოდ არ არის შეზავებული. თუ ქარმა დაჰბერა, ქალაქს მტვერ-კორიანტელი ასდის.

არის მხოლოდ ერთი კუხე ქალაქ გარედ მეტად ლამაზი, ჭალა-ტყიანი და ყვავილიანი. მაღალი და ხნიერი ფიჭვის ხეები ღრმა და ანკარა ტბას გარშემორტყმია. ხეები ერთმანერთთან გადახლართულია ასკილით. ამ საუცხოვო კუთხის სიტურფე სრულიად გავიწყებინებს, რომ მანჯურიაში ხარ. მეტადრე ლამაზია ერთი ხეივანი, რომელიც სამ-სართულიან შენობამდე მიდის. შენობის ქვეშ მიწაში დიდი დარბაზია უშველებელ თაღ-გადაკრული.

ამ მიწურ დარბაზში განისვენებენ ნაშთნი მანჯურიის მფლობელთა და ჩინეთის იმპერატორის წინაპართა.

სახელოვან მონგოლების აკლდამები აგრას, დელსა და ინდოეთის ჩრდილოეთად ძალიან წააგავს ამ მანჯურიის მფლობელთა განსასვენებელს, გარეგან თუ შინაგან მოწყობილობით. იქაც და იქაც აკლდამები ტბის პირას არის და გარშემო ხელუხლებელი ტყე არტყია, რომელიც მუდამ რჩდილავს.

ტფილისი

დღეს, 12 სეკდემბერს, დანიშნულია კრება ამიერ-კავკასიის რკინის გზების მსახურთა მომხმარებელ საზოგადოების წევრთა.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი უკვე დაბრუნდა ტფილისს და ახლო მომავალში შეუდგება თავის თანამდებობათა აღსრულებას.

⁂ მიწად მოქმედების სამინისტროს განუზრახავს კავკასიაში ერთის საქსოვ სკოლის დაარსება.

⁂ ხვალ, ორშაბათს, 13 სეკდემბერს, ზაფხულის არდადეგის შემდეგ, პირველი კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს.

⁂ გუშინ-წინ, 10 სეკდემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე საბაღაჟო ვაგონების კონდუქტორის თავ. ვ. ჩიჩუასი, რომელსაც ჰბრალდებოდა პრინცესა ჯაჯარის სხვა და სხვა ნივთების მოპარვა ბაღაჟით გაგზავნილ კალათიდგან, 1,700 მან. ღირებულისა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. ვიქ. ჩიჩუა და გადაუწყვიტა ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო საქარხნო ინსპექტორად დაინიშნა ოლონეცკის საგუბერნიო საქარხნო ინსპექტორი კუხტა.

⁂ ტფილისის მეორე სავაჟო დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გიმნაზიის დირექტორმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ ჩემდამო რწმუნებულ გიმნაზიის მთავარ-დიაკონი გრიგოლ ჩერტაროევი ქუჩაზედ შეიშალა და რადგანაც ხანდახან ძლიერა შფოთდება, ამიტომ გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რომ სულით-ავადმყოფთა ქალაქის სამკურნალოში მოათავსონო.

⁂ კბილისის ექიმმა ქალმა ანნა მირტცელმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება მომეცით, რომ ელისაბედის ქუჩაზედ (№ 39) დავაარსო კბილის სამკურნალო კაბინეტიო.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ №-ში ახალ ქართულ წიგნის «ხალხის გმირის» ფასი შეცდომითაა დაბეჭდილი; უნდა იყოს: ფასი 5 კაპ.—20 კ.-ს მაგიერ.

საქართველოს ამბები

სოფ. ავნევი. (გორის მაზრა). აგვისტოს 11-ს ავნევის, მემამულე დიმ. ოთარიძეს გლეხნი შეებნენ და, როგორც მკითხველებმა უწყიან, მოჰკლეს კიდეც. საქმე ასე იყო. დილით ოთარიძეს გაეგო, რომ დიდმუხელი (ავნევიდან ნახევარ ვერსის სიშორეზეა) ოსები მის ტყეში შესულან და შეშასა სჭრიან. ოთარიძეს დაუვლია ბერდანის თოფისათვის ხელი და გაქანებულა მათკენ. მოუსწრია ოსებისათვის და გამოურეკია; ამ დროს ცოტა კინკლაობა მოსვლიათ; ოთარიძეს ქუდი გადავარდნია და ოსებს წაუღიათ. ამ დროს რამდენჯერმე დაუცემინებია თოფი და არ გავარდნია; სახლისკენ გამოქანებულა და მეორე ბერდანით დაბრუნებულა თავის ორის მოსამსახურე ბიჭით, ჩასულა სოფელში თუ არა, მოუთხოვია ქუდი და ამ დროს ღალაც უნდა აერწყო. ოსებს ქუდზე უარი ეთქვათ, ოთარიძეს გული მოსვლოდა და უშვერის სიტყვებით შეჰკამათებოდა. ოსებსაც გული მოსვლოდათ და, კეტებით შეიარაღებულები, იერიშით მისულიყვნენ. ო—ძეს შეეყვირა: ნუ მოხვალთ, თორემ მოგკლავთო. ოსები არ შემდგარიყვნენ. ამ დროს გავარდნილა თოფი და ერთისთვის შიგ გულში მოეხვედრებინა. ამაზე უფრო გამწვავებულიყვნენ ოსები და კეტები დაეშინათ თავში; ო—ძეს ვეღარ მოუხერხებია კვლავ კიდევ ესროლა. ბოლოს, რომ დაატყო, საქმე ცუდადაა, ო—ძე გაქანებულა და ერთ ოსის სახლში შევარდნილა, კარი მოეკეტა და თავშალით თავი შეეხვია. ცოცხალ-მკვდარ ოსს ეთქვა თავის ძმებისათვის, არ გაუშვათ, ისიც მოჰკალითო. ისინი დაბრუნებულიყვნენ, გაეტეხათ კარი, შეცვივნოდნენ და უწყალოდ დაეწყოთ ცემა. ო—ძე ბევრს ხვეწნია, ნულარ მომკლავთ და მთელს ავნევის მამულს თქვენ დაგიმტკიცებთო, მაგრამ ამათ დაეშინათ კეტები და თავი ისე დაეჩეჩქათ, ისე დაენაყათ, რომ აღარაფერი ეტყობოდა. მკლავები ხელები და ორთავ ფეხები სულ დაელეწათ. ამ გვარად საზიზღრად მოეკლათ და გზაზე გადმოეგდოთ. ცხინვალის ბოქაული საჩქაროდ გამოცხადდა და ჯერ ჯერობით ერთი შეიპყრო. გამოძიება სწარმოებს. დაჭრილი ოსი იმავ დღეს გარდაიცვალა.

ნელი.

საზოგადო საამხანაგო დაწესებულებანი ჩვენში.

(რკინის გზის საზოგადოებ. მოთავეთა საყურადღებოდ).

ტფილისში დაარსდა ამ ათის წლის წინედ რამდენიმე ამხანაგობა, რომელთა შორის იყო «შუამავალიც».

«შუამავლის ამხანაგობამ შეაგროვა თანხა 5,000 მანეთამდე და დიდიხნის ბჭობის შემდეგ მოჰმართეს სასმელ-საჭმლის სავაჭრო; წესდებისა თანახმად სავაჭროს გამგებლად ამოირჩიეს სამი წევრი.

გამგებლებმა მოგროვილი თანხა მოანდომეს: მოწყობილობას 700 მანეთი; თავიანთ ჯამაგირებს თვეში 150 მანეთი, ხოლო ორ თვეში 300 მანეთამდე; როცა ჯერ ვაჭრობა არ იყო; შემდეგ უპირველესად შეიძინეს ძვირფასი სასმელები, ტკბილეულობა, კონსერვები და ჩაი სამასის თუმნისა და ასი თუმნისაც წვრილმანი საწვრილმანო და ყოველ დღიურ სანოვაგე.

ორი თვე ივაჭრეს და უფროსმა გასცა ნისია ასის თუმნისა. დანარჩენმა ორმა წევრებმა თითომ 500 მანეთამდე, ასე რომ შესდგა 2,000 მანეთამდე. იმათ, რომელთაც ჰქონდათ ერთი თუმანი შეტანილი საამხანაგო ფული, ჰქონდათ გატანილი 50 მანეთისა და მეტისაც საქონელი; ისეთებიც ერივნენ, რომელთაც არაფერიც არა ჰქონდათ შეტანილი და არც არა შემოჰქონდათ. ზოგიერთ მონისიავეს-კი თვეში 50 მანეთის მაგიერ შემოჰქონდა 20 მანეთი და 30 მანეთისა კიდევ მიჰქონდა.

ნაღდი ნავაჭრი ვერ აუვიდა ჯამაგირების გასტუმრებას და ყოველ დღიურ სანოვაგის ყიდვასაც ნაღდზედ და არც თანხას ემატებოდა.

ამისათვის რაიმე ღონე უნდა ეხმარა გამგეობას. დიდიხნის ბჭობის შემდეგ გარდასწყვიტეს ნისიად მოეტანათ საქონელი, ე. ი. მიემართნათ და ეთხოვნათ დახმარება საქონლით იმათგან, რომელთა კონკურენტებათაც ითვლებოდა ეს ამხანაგობის სავაჭრო.

რაღა თქმა უნდა, რომ ნისიათ უნდა წამოეღოთ იმ ფასად, რა ფასსაც დაადებდა და როგორსაც მისცემდა ვაჭარი ნაღდზედ ნაყიდ საქონელში, თუ მოიგებდნენ 25% და კარგს საქონელსაც შეიძენდნენ, ნისიად მოტანილ საქონელში 10% ძლივს იგებდნენ; ამის გარდა საქონელიც მდარე იყო. მდარე საქონელს კი ნაღდზედ მყიდველნი შორს გაურბოდნენ, ხოლო ნისიად მყიდველნი გამგეობას ემდუროდნენ. გამგეობამ მაინც მიუმატა ორას თუმანს ნისიით გაცემულს წევრებზედ და არა—წევრებზედ ორასი თუმანი კიდევ, გადიხადა ნისია 4,000 მ., ე. ი. მთელი თანხა დაბანდა გაცემულ ნისიაში, ხოლო საქონელი რომ არ დაბანდებოდათ, მოჰქონდა ნისიათ; ასე მოიტანა სულ ოთხასის თუმნისა!

ამ სახით, «შუამავალი» იმავ მოვაჭრეების ხელში ჩავარდა, რომლებიც დღე და დღეზე ელოდნენ მის შთანთქმას.

გავიდა ხანი და, რაკი ვაჭრობამაც იკლო, აღარც წაღებული ნისია მოჰქონდათ, თვით ამხანაგობის წევრთაც, ვადაზედ ვალი ვეღარ გადაიხადეს, ვაჭრებმაც აღარა მისცეს-რა ნისიად. მაღაზიაშიაც, გარდა ძვირფას სასმელებისა, კონსერვებისა და ტკბილეულობისა, აღარა იყორა, თუმცა მაღაზიას ამშვენებდა სიმაღლით ოთხის არშინისა და სიგძით ათის არშინის წარწერა. ყველი იდო, მაგალითად, მხოლოდ ნახევარ კვერეუ-

---

ფელეტონი

მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

გამოსვლა მეთერთმეტე.

(გამოდიან სოსიკო და ოლინკა. სოსიკოს ბოთლით ღვინო შემოაქვს, პური და სახლის არაყი. ოლინკას კი თეფშზედ დაჩხვლეტილი თხილის გული და მურაბა).

ილიკო. (ჩაის ასხავს და იმავე დროს სოსიკოს) სად გაჰქრი, კაცო, შენი საყვარელი მეგობრის მოსვლა ნუთუ ასე ჩუმად ჩაატარე!

გრუშნ. ნუ სწუხდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ უკვე ვინახულეთ ერთმანეთი იქ, წყაროს პირს და საკმაოდაც ვიჭუკჭუკეთ (გადახედავს და-ძმას) აბა, შეხედეთ, ბატონო სტუმარო, რა მშვენივრები არიან ჩვენი მტრედები. (სოსიკოს). სხვა რასა იქ, ჩემო მომავალო ქართველო მწერალო, ან შენ, ჩემო ჟუჟუნა თვალებიანო, პატიოსანო და კოპწია გოგო? (გადაჰკრავს არაყს და უეცრივ). მართლა, ქალო, რა უყავ, მოქარგულ პერანგს რომ დამპირდი?

ოლინკა. ძლიერ მალე იქნება, პაპა, ძლიერ მალე! ვერ დავამთავრე ჯერ, მაგრამ თქვენთვის უფრო სასიამოვნო საჩუქარი მაქვს შენახული.

გრუშნ. აბა, აბა!

ოლინკა. აი ის სამკურნალო ბალახი, რომლის მოგროვებაც დამავალეთ.

გრუშნ. (გახარებული). ნუთუ, ნუთუ? Молодчина, моя дѣточка, молодчина. რამდენი ავადმყოფიც მე იმ წამლით გავკურნო, იმდენი სიკეთე და დღეგრძელობა შენ შეგემატოს. (ისევ სოსიკოს) აბა, ახლა ანგარიში ჩამაბარე იმისი, თუ რა და რა წიგნები წაიკითხე ამ კვირაში. ვგონებ, სულ ჩაყლაპე ბიძაშენის ბიბლიოთეკა. ან და როგორ არიან შენი მეგობრები: შავყურა ძაღლი ჭოჭია, და რიჟინა (ყველანი იცინიან). მართლა, ბიჭო, რა მოგიტანე (ამოიღებს მუნდირის უკანა ჯიბიდგან წიგნს). აი შენი ლასსალი, ესეც შენი Краткій курсъ политической экономіи, ესეც შენი грузинскіе поэты въ образцахъ. (სოსიკო საჩქაროდ გამოართმევს და გახარებული ჰფურცლავს წიგნებს. ამ ლაპარაკის დროს ყველანი ჩაის შეექცევიან, მხოლოდ ოლინკა შევა სახლში).

ლუარს. განა ისეთ სერიოზიულ წიგნების კითხვასაც ჰბედავს ეს ძუძუ-მწოვარა ბალღი?!

გრუშნ. ოოოო! Вы съ нимъ не шутите. Онъ у меня почти готовый человѣкъ для серьезныхъ вещей. არ მიატოლოთ იმ ჩიტირეკია გიმნაზისტებს, ქალაქის პროსპექტებს რომ უაზროდ სტკეპნიან.

ლუარს. უხაროდეს საქართველოს, იმედია, ერთი ხუთი-ექვსი წლის შემდეგ აკადემიური «ზნაჩოკით» გაამედნიერებს თავის ქვეყანას. (სოსიკო გულიანად გადიხარხარებს).

სოსიკო. საოცარი ხუმრობა გცოდნიათ, ბატონო.

ლუარს. სრულებითაც არ მიხუმრია.

სოსიკო. ძლიერა ვწუხვარ.

ლუარს. რატომ?

სოსიკო. ბატონო, აკადემიურ ზნაჩოკებს ლი არ დაჰყეფდა. განა ცოტა გვყავს რომ სამშობლო ქვეყნის გაბედნიერება შეეძლოს, საქართველოს ბედს ძალზნაჩოკიანი, რომ უაზროთ დახეტიალობენ?!

გრუშნ. Вотъ Вамъ и академическій значокъ! ხა, ხა, ხა! Вотъ Вамъ и кислое молоко, ხა, ხა, ხა! (კმაყოფილებით გადაჰკრავს არაყს ზედი-ზედ, ასე რომ მაიკოს გამოსვლამდე გვარიანად შეთვრება).

გამოსვლა მეთორმეტე.

(გამოდის აივანზედ მაიკო, რომელიც მოჰყავს ოლინკას).

მაიკო. მოვიდა და აიკლო აქაურობა ამ გიჟმა ბერიკაცმა.

გრუშნ. (სწრაფად წამოიჭრება). ა-ა-ა! ამას ვისა ვხედავ? ჩემი დახუთული მაიკო, ჩემი კუტი მაიკო! (ბრძანების კილოთი) წამოდექით ზეზე, ვერა ხედავთ, ვინ გამობრძანდა? (დაიკუზება და დამცინავი მორჩილებით) როგორ გიკითხოთ, თქვენო განათლებავ? (მაიკო ქოქოლას მიაყრის), ჩემო პრინცესსა, ჩემო დანიშნულო! (ლუარსაბს) თქვენ ხუმრობა არ გეგონოთ, ეს უკბილო ბებრუცუნა მართლა ჩემი დანიშნულია, ამკვირია ჯვარს ვიწერთ (ყველანი იცინიან).

მაიკო. უჰ, ნეტავი შენ, კაცი რომ სიბერეს არ უჯერებდეს, შენს მეტი არ შემხვედრია ჯერ (აპირებს აივნიდან ძირს ჩამოსვლას).

გრუშნ. არ გაბედო წინ წამოწევა, ბებერო! ვერა ხედავ ნაწვიმარია? მოგკლავ, გაგჯოხავ, თუ ურჩობას გამიწევ, ზარბაზნებს გესვრი. არ შეგირთავ, რომ ჰქინაზედ გასკდე, მაინც არ შეგირთავ! (მაიკო დამორცხვდება და იქვე ჩაჯდება).

გრუშნ. То-то!

ილიკო. მაგრე, დედა, მაგრე. ოლიკო, იქ მიართვი ჩაი. (ოლიკო მიუტანს ჩაის და სახლში შევა. პატარა სიჩუმეა).

მაიკო. ილიკო, ძვირფასი სტუმარი არ მომიმშიო.

ილიკო. ლუარსაბზედ ამბობ?

მაიკო. დიაღ.

ლუარს. ყველაფრით კმაყოფილი გახლავართ, ქალბატონო მაიკო, გმადლობთ.

მაიკო. მაპატიე, შვილო, რომ დროზედ ვერ მოგილოცე. საშინელი გულ-მავიწყი შევიქენი ამ ბოლო დროს.

ლუარს. რა უნდა მოგელოცნათ, ბატონო?

მაიკო. გაბედნიერება.

ლუარს. ვისთან?

მაიკო. ვინც თქვენი საკადრისია. ღირსი ხართ და ღირსეულად გაჯილდოებს ღმერთი.

ლუარს. ჰაა-აა, მივხვდი, რასაც ბრძანებთ, მაგრამ ეგ სულ ჭორია, ბატონო მაიკო. ის ჩემი დობილია და, აბა, დას ვით შეირთავს ძმა!

სოსიკო. (თითის ქნევით). ნუ მალავ, ნუ, ჩვენ ყველაფერი ვიცით. გმდურით, რომ თქვენი მოსვლა იმას დაგვაშორებს.

გამოსვლა მეცამეტე.

(გამოირბენს ოლინკა წყვილის ვარდის კონით ხელში).

ოლინკა. ნება გვიბოძეთ, ბატონო ლუარსაბ, ამ ვარდის კონებით მოგილოცოთ. (აძლევს). ერთი თქვენ, მეორე —თქვენს დანიშნულს. გვაპატიეთ, ჩვენ მეტი არა გაგვაჩნია-რა. «კეთილის გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება».

ლუარს. (ხარხარებს). თქვენ სცდებით, ბავშვებო. (ხალხისაკენ). ღმერთო ჩემო! რა უხერხული მდგომარეობაა, ამ ჩვენს გახუნებულ დროში უცხო კაცს გასათხოვარ ქალთან ვერ დაულაპარაკნია სწორედ. (ამ დროს ისმის ვიღაცა ბიჭის ხმა. ყველანი ყურებს აცქვეტენ, კიდევ მეორდება ყვირილი: სოსიკო, აი სოსიკო! ილიკო წამოდგება).

ილიკო. ვინა ხარ, კაცო! (სოსიკო გაირბენს კულისებში და სულ პატარა პაუზის შემდეგ შემოდის და ილიკოს წერილს გარდასცემს. ყველანი ჩაჩუმდებიან. ილიკო ჯერ დაჰხედავს, წამოდგება, ხსნის და ყურადღებით ჩაათვალიერებს. რაც დრო მიდის, უფრო ფითრდება, სახეს უფრო დაბლა ჩაჰკიდებს, ბოლოს უცრივ ასწევს თავს და ლუარსაბს მიაშტერდება. იმათი თვალები ერთმანერთს შეჰხვდებიან. ლუარსაბს თავისუფლად უჭირავს თავი).

ლუარს. რაშია საქმე, ილია ივანიჩ?

ილიკო. (არას უპასუხებს, ფიცხლავ შეირბენს სახლში, გამოიტანს ლუარსაბის ქუდს, დაუდებს ცხვირ-წინ, მერე გულზე მიბნეულ წყვილ ვარდის კონას მოაგლეჯს და ისრის შორს სასტიკის სახის მეტყველებით. ყველანი განცვიფრდებიან. გრუშნევსკის ჩიბუხი ჩაუშეშდება პირში. მაიკოს აკანკალებს და ნელ-ნელა დგება, სოსიკო ილიკოს მხარეს გადგება, ოლინკა ბებიასთან მიირბენს, საერთო შეწუხებაა).

ოლინკა. ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია!

ლუარს. ილიკო, რას მოასწავებს ყოველივე ეს?

სოსიკო. Что это означаетъ, дядя?

---

*) იხ. „ივერია“ № 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და კარტოფილი და ხახვი ფუთი; ვაჭრობა სულ შესდგა. ნაღდი შემოსავალი, ჯამაგირებს რას გადურჩებოდა, როცა ისე სასყიდლადაც კი არ იყო ფული.

საგანგებოდ შეჰყარეს ამხანაგნი, რომელთაც საჩქაროდ ამოირჩიეს საგანგებო რევიზიის წევრნი; მაგრამ რაღა ეშველება იმ წისქვილის ბორბალს, რომლის საბრუნებელი სათავიდგანვე ათ ნაწილად გაყოფილა? სწორედ ასე იყო ამხანაგობის საქმე და რამდენსამე ხნის შემდეგ ვაჭრებმა გაინაწილეს მთელი მაღაზია.

ასეთივე საქმე დაემართა მაჩხაანი დეპოს და აგრედვე სხვა პატარ-პატარა ამხანაგობასაც. ესევე დაემართება სხვა უფრო დიდ-მნიშვნელოვანს საზოგადოებათა, რომელთაც თვალ-გაფაციცებით შეჰყურებენ ყოველ მხრივ ვაჭრები, აცა როდის წაუბორძიკდებათ ფეხიო, რომ აისრულონ გულის წადილი და მოასწრონ მათ გაუქმებას, გაკოტრებას. აუსრულდებათ კიდეც სურვილი, თუ დროზედ არ მიექცია ყურადღება უპირველესად თვით საზოგადოების მხრივ.

ს. გლახაშვილი.

(დასასრული იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«გრაჟდ.»-ნი აი რასა სწერს თ-დი მეშჩერსკი:

რუსეთს არ შეუძლიან ითხოვოს ზავი, ვისთანაც უნდა ომობდეს, რანაირადაც უნდა დატრიალდეს ომის ბედი. რუსეთს არ შეუძლიან აგრედვე ისურვოს, რომ სხვა ვინმე ჩაერიოს ამ ზავის საქმეში, ამიტომ რომ, შესაძლოა შუაკაცობამ დამუნათების ხასიათი მიიღოს. რუსეთი იმას უფრო ვერ ისურვებს, რომ რომელმაშე სახელმწიფომ იაპონელების წინაშე შუამდგომლობა დაიწყოს. იმ კაცთა აზრით, რომელნიც მეფის დიდნი ერთგულნი არიან და რომელთაც ღრმად უყვართ თავიანთი სამშობლო, არის სხვა ღონისძიება ზავის ჩამოსაგდებად, ისეთი ღონისძიება, რომელიც საწყენი არაა რუსეთის სახელის და ღირსებისათვის. ეს ის ღონისძიებაა, რომ ზავის ჩამოგდება მოვითხოვოთ მაშინ, როცა იძულებით არ იქნება ეს გამოწვეული, როცა ეს მოთხოვნა არ არის შედეგი დამარცხებისა, არამედ გამოწვეულია სურვილით, რომ მოისპოს საშინელი, დაუზოგველი სისხლის ღვრა. რუსეთს დიდი დამარცხება არა გადაჰხდომია-რა. მხოლოდ მტერი ყველგან მეტი ძლიერობდა და ამ ნამეტნაობის შედეგი იგრძნო. რუსეთს არ ეშინება ზავი და შეუძლიან დიდხანს განაგრძოს ომი, რადაც უნდა დაუჯდეს. ამტომ სახელი და ღირსება ნებას აძლევს წინადადება მისცეს მტერს ახლავე ზავის ჩამოგდებისათვის, იმ მტერს, რომელიც ისევე მამაცია, როგორც რუსი. წინადადება მისცეს მხოლოდ იმ აზრით, რომ გათავდეს საშინელი სისხლის ღვრა ორსავე მხრივ. მიიღებს და შეიწყნარებს იაპონია ზავის პირობებს, ხომ კარგი: არა და მერე თვით აგოს პასუხი იმ სისხლისათვის, რაც მას შემდეგ დაიღვრება.

წერილი

რედაქციის მიმართ

(ქართულ სიტყვების შეკრების შესახებ)

ვინ იქნება ისეთი გულ-ცივი ქართველი, რომ ქართველთა შორის იმ ძველ სიტყვათა შეგროვებას, რომელთა ხმარება თითქმის გამოიდევნა სახალხო ენიდგან, ხელი არ შეუწყოს. ჩემის აზრით, ასეთი შრომა არავისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მხოლოდ სურვილი იყოს და საქმე ადვილი შესაძლებელია. ყველაზე მეტად კი, თუ მცირეოდენ შრომას არ დაიზარებენ, ასეთი სიტყვების შეგროვება შეუძლიანთ სოფლის მღვდელთ და მასწავლებელთ, რომელნიც მუდამ სოფლად და ხალხში სცხოვრობენ. მე რამდენიმე სიტყვა მქონდა მოგროვილი, რომელნიც ხმარებიდგან გამოდევნილია, და მხოლოდ აქა-იქ მოხუცებულის ან საზოგადოდ მთიულის ლაპარაკში-ღა გაიგონებთ ხოლმე. მე ამ სიტყვების ჩაწერაზე თვით მთქმელთაგან ვიხელ-მძღვანელე და, რამდენადაც შევიძელ, მივეცი განმარტება.

ნახშობ	ლაპარაკობ
სანახშო	სალაპარაკო-სალაყბო
ბაგრა	ძალიან
ჯინი	ჯოგი
აიბი	მდარე,-ზაბუნი
იონქრათ	ანამყოლ,ოდნავ
არიფანა	სარგებელი
ლიოფი	შეწუხებული
ნახჭიანი	ძარღვ-მაგარი
გახარალება	გაზავება
ოდოში	ნახევრათ მოუმწიფებელი
წუკარტი	წუწკი, უნამუსო
სამზეური	ქოლგა
ლიჟრიანი	სველი-ნამიანი
ხოშორი	რჩეული,კარგი
მაყე	შემრგე
ბრილვა	სხვილად თოვა

მინა ჯაფარიძე.

„ივერიის“ ფოსტა

ი. ბ—ძეს ცოტა კიდევ მოგვითმინეთ და თქვენის წერილის პასუხს მოგართმევთ უეჭველად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 სეკდემბერი.

ვილნა 10 სეკდემბერი. სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქში დიდი მოძრაობაა. სტუმრები იკრიბებიან. გაავდარდა ცხრის ნახევარზე, წირვის დაწყებამდე ხუთჯერ ისროლეს ზარბაზანი და მით აუწყეს მცხოვრებთ, ეკატირინეს ძეგლის კურთხევა იწყებაო. ძეგლი საკათედრო ტაძრის მოედანზეა აგებული. ძეგლის კურთხევისა და ჯარის დათვალიერების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა 500 სტუმარი მიიწვია საუზმედ, სადაც სადღეგრძელოები და სიტყვები წარმოითქვა.

ედინბურგი.(რეიტერი)- 9 სეკდემბერს საღამოს საერთაშორისო კანონთა ინსტიტუტის წევრთა პატივსაცემლად საღამო გაიმართა; როზბერიმ ადღეგრძელა უცხო სტუმრები და მეტად თავაზიანად მიეგება რუსის პროფესორ მარტენსს, რომელიც გამოგზავნა რუსეთმა პატივის საცემლად ინსტიტუტისა. მართალია, ვერ უარ-ვყოფთ, რომ რუსეთი და ინგლისი ერთმანერთს ეცილებიან აზიის გამო, მაგრამ იქ ხომ ორივესთვის საკმაო ადგილი არის და, ეს რომ ორივემ შეიგნოს, დიდად სასარგებლო იქმნებოდა მშვიდობიანობის დასამყარებლადო.

ვილნა, 10 სეკდემბერი. რუსი, ლიტველი, პოლონელი ერთხმად თანაგრძნობასა და სიხარულს აცხადებდნენ. ეს მეტად ეუცხოვათ უცხოელებს. ეკატერინე 11-ს ძეგლის კურთხევა იმითიც არის საყურადღებო, რომ აქ კვალად თავი იჩინა რუსებისა და პოლონელების დაახლოვებამ. თავად სვიატოპოლკ-მირსკის მშვიდობიანმა და სამართლიანმა პოლიტიკამ პოლონელებიც მიიზიდა ამ დღესასწაულზე. სამოცამდე სახელოვანი პოლონელი დაესწრო და ამით უნდოდათ გამოეცხადებინათ, რომ ასმა წელმა წარსული სამუდამოდ დაჰფარა და ეხლა წრფელადა სურთ ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ რუსეთის ხელმწიფისა, რომელიც სლავიანთა ყველა თემების იმედია.

პარიჟი, 10 სეკდემბერი.მინისტად ნამყოფი ლანერსსანი კვალად აგულიანებს პოლიტიკურ მოღვაწეებს იუშუმდგომლონ რუსეთ-იაპონიის ომის მოსასპობად ოფიციოზური «ტანი» ამბობს, საფრანგეთი ვერ ითავებს და ვერ იკისრებს შუამავლობას, ვიდრე რუსეთი არა მნიშვნელობას არ აძლევს აქამომდე მომხდარ შეტაკებას. ჩვენ მოკავშირენი ვართო.— ამბობს სამინისტროს გაზეთი, და ამისთანა მტრულ საქციელს ვერ ჩავიდენთო.

«ტანს» ტოკიოდგან დეპეშა მოსვლია თავის კორესპონდენტისა, ვითომც ინდო-ჩინეთს იაპონელები აიკლებენ და ამ განძრახვით იქ მრავალი ჯაშუში ჰყავთო. სიამში იაპონელი აფიცრები დადიან ტანთსაცმელ შეცვლილნიო. ამიტომ გულით უნდა ვისურვოთ, რომ რუსეთმა გაიმარჯვოს და ხმელთა შუა ზღვაზე ძლიერი ესკადრა უნდა ვიყოლიოთ, რომელიც ყოველ ჟამს მზად უნდა იყოს გასამგზავრებლად ინდო-ჩინეთისკენ.

ტოკიო, 10 სეკდემბერი, (რეიტ. სააგ.). ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან, 7 სეკდემბერს რავდენიმე ბრძოლა იყო დალინთან და სანლუნკუს, 96 კილომეტრის მოშორებით ლიაოიანიდგან. იაპონელების რაზმი სიანუჩანიდგან წინ წავიდა, იერიში მიიტანა და ორი რუსის რაზმი უკან დასწია. ერთი მათგანი, რომელშიაც ქვეითის ჯარის როტა იყო კავალერიითა და ერთ ტყვიის მფრქვეველ ზარბაზნით, დალინის უღელტეხილში იდგა, მეორეში კი ერთი ბატალიონი იყო, 700 კავალერისტი, 5—6 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი და ერთიც ტყვიის-მფრქვეველი; ეს რაზმი სანლუნკუსთან იდგა, 13 კილომეტრის მოშორებით დალინის უღელ-ტეხილიდგან. რუსებმა 19 მოკლული დასტოვეს. იაპონელებს ცოტაოდენი ნადავლიც დარჩათ, დანაკარგი კი მცირეა.

ადესსა. მნახველები იმ კაცისა, რომელმაც განიზრახა ადესის ქალაქპეტის მოკვლა, ამბობენ, რომ ის განათლებულთაგანი არ უნდა იყოსო.

კიევი. კიევის სადგურზე მოასვენეს გვამი ლიაოიანთან სასიკვდილოდ დაჭრილის გენერალ-მაიორის მარტსონისა. ვაგზალზე იყვნენ გენერალ-ლეიტენანტი სუხომლინოვი, შტაბის უფროსი და ბევრი მეგობრები და პატივისმცემელნი განსვენებულისა. კუბო გვირგვინებით შეამკეს. გვამი პოდოლის გუბერნიაში გაისტუმრეს, სადაც განსვენებულის მამულში მიწას მიაბარებენ.

ნეაპოლი. ვეზუვიზე გამართული ობსერვატორია იუწყება, ვეზუვი ბობოქრობსო; მთას პირი ჩაენგრა, პირიდან ისვრის დიდძალ ქვებსა, ნაცარს, ნალვერდალს და გამდნარ სითხეს, რომელიც მოდის ატრიო-დელ-კავალოსაკენ. გაჩნდა პატარ-პატარა ვულკანები, რომელიც ისვრიან ფერფლს და ქვებს 150 მეტრის სიმაღლეზე..

ვილნა. 10 საათზე, დილით, მობძანდა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელსაც მიეგება შინაგან საქმეთა მინისტრი. დაუხვდა საპატიო ყარაული; შეეგებნენ აგრეთვე გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღვარი, ქალაქის თავი და სხვ. ხალხი მისს უმაღლესობას «ურას» ძახილით შეეგება; ქალაქისაგან მიიღო პურ-მარილი და მოწყალედ ესაუბრა მინისტრს, გუბერნატორს და ქალაქის თავსა ქალაქის ყოფა-ცხოვრებაზე და საჭიროებაზე. მეიდანზე, სადაც დღესასწაული იყო, მისს უმაღლესობას გლეხობამ მიართვა პურ-მარილი. თავ.-აზნ. წინამძღვართან დიდმა მთავარმა წარმოსთქვა სადღეგრძელო თავად-აზნაურობისა. ზარბაზნების გრიალის დროს ახადეს ფარდა ეკატერინე დიდის ქანდაკებას. საზოგადო მხიარულება, მუსიკა, დიდის მთივრის, მეფის გამოგზავნილის, დასწრება, ბრწყინვალე სინკლიტი სასულიეროთა, საეკლესიო საგალობელნი—ყველა ეს ადიადებდა მნიშვნელობას ამ ისტორიულის მომენტისას.

მოსკოვი. პრეჩისტენსკის ნაპირას ჩაჰყარეს საძირკველი ახალი ტეხნოლოგიურის სასწავლებლისა; შენობა დაჯდება 250 ათასი მანათიო.

ბელგრადი. (სპეციალური). 9 სეკდემბერს სადამოთი სასახლეში ბრწყინვალე დარბაზობა იყო. 10 სეკდემბერს იყო კონცერტი—მონსტრი, შემდეგ საუზმე ბოლგარიის მისიის პატივსაცემლად. შუადღის შემდეგ ბანიცაში დოლი გაიმართა.

ფლენსბურგი. 9 სეკდემბერი. საღამოზე გარდაიცვალა რუსის კონსული სოფუს შმიტი.

ვილნა. 10 სეკდემბერი. როცა მოვიდა დიდი მთავარი ძეგლთან, შემოუარა ჯარებსა და მიიღო დეპუტაციები. თორმეტ საათზე მართლმადიდებელი სამღვდელოება მოვიდა ეკატერინეს ბაღში, გზაზე სრულდებოდა პარაკლისი. სულ 80 სასულიერო პირი იყო.ძეგლთან არქიეპისკოპოსმა გადაიხადა წყლის კურთხევის წესი. შემდეგ არქიეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა; დიდძალი გვირგვინებით შეამკეს ძეგლი. საღამოზე სასახლის წინ მუსიკამ სამჯერ დაუკრა საერო ჰიმნი. დიდძალი ხალხი ერტყა გარს სასახლეს და მადლობას უცხადებდა გენერალ-გუბერნატორად ნამყოფს თავად სვიატოპოლკ-მირსკისა. ქალაქის თეატრში ეკატერინე დიდის სახსოვრად წარმოდგენა იყო. საერო ჰიმნის შემდეგ, რომელიც დრამატიულმა დასმა სამჯერ იგალობა, იმპერატრიცას ქანდაკება შეამკეს დაფნის გვირიგვინით; ბოლოს შეასრულეს ეკატერინეს ჰიმნი — სიტყვა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის ნიკანდრისა, რომელიც უთხრა დიდს მთავარსა: «ამ წმიდა სავანის ძმანი ჩემთან ერთად სიხარულით გეგებებიან თქვენ ამ ტაძარში. ჩვენი სიხარული მეტად ძლიერდება იმ გრძნობისა გამო, რომ ჩვენ შევეგებენით არა მხოლოდ წევრს საყვარელის და სათაყვანებელის უავგუსტოესის ოჯახისას, არამედ გულ-

---

ილიკო. ამ საათში, ამ საათში დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობის მოყვარეობას. (სკამზედ შესდგამს ცალ ფეხს და შეაშტერდება ლუარსაბს). გამიგონე, გელოვანიძე! საშიშ ნავთსაყუდარს გადაუტყლეჩნიხარ ბედის წერას და უნდა გითხრა, მებრალები, რადგან ჩემთან ქვემძრომობა ძვირად დაგიჯდება. გაფრთხილებ, ჩემი სულის ამღვრევა არ განიზრახო, არც თუ ცხოვრების გზაზე შემეფეთო ვაგლახად, თორემ შენ დანჯღრეულ ხომალდიანად დაგამსხვრევ და სამუდამოდ მოგშლი კაცობიდგან.

მაიკო. (ფრიად აღელვებული). ილიკო! ილიკო მეთქი! რას ერჩი მაგ პატიოსანს კაცს?!

ილიკო. მაგ სიტყვას ასე ადვილად ნუ ახსენებ. პატიოსან კაცთა რიცხვი საგრძნობლად შეთხელდა და ქვეყანა გაიძვერებით აივსო, დედა-ჩემო. პატიოსანი!... ეს ისეა პატიოსანი, ვით შენ საროსკიპო სახლის დიასახლისი.

ლუარსაბ. ილიკო, დამშვიდდი, ისე ილაპარაკე. ვერა გცოდნია სტუმრის მიღება.

ილიკო. მე სტუმრებს ღირსებისამებრ ვუხვდები. **Вонъ! вонъ!** (უჩვენებს ხელით ალაყაფის კარებს). მთელი საუკუნე რომ დარჩე აქ და მელაქლაქო, პასუხს მაინც არ გაღირსებ. მორჩა, გათავდა, წინადვე უნდა მცოდნოდა, რომ ქალაჩუნა კაცთან მქონდა საქმე. **Вонъ!**

ლუარსაბ (ქუდს დაიხურავს). რა გაეწყობა! უნდა შევურიგდე ბედს, როცა უბედური ვარ და კარგისთვის ავით მიხდიან ხოლმე. მხოლოდ გეტყვი, ილიკო, რომ ძალიან დიდი წარმოდგენა გქონია შენს თავზედ და ვაი თუ თვით შენ დაიმსხვრე. (მაიკოს) მოხუცო, მებრალები და თანაგიგრძნობ, რადგან ასეთი შვილები ცოცხლითვე მარხვენ უბედურ მშობლებს. (მიდის).

მაიკო. (ეს სცენა მაიკოზე ძლიერ მოქმედებს და ბარბაცით გაემართება კარებისაკენ, უეცრივ მოიხედავს). მომკლა ამ ბიჭის საქციელმა, მომკლა! შე ჩემი ცოდვით სამსევ, რად ესწრაფვი ჩემს დამიწებას, რად? რა დაგიშავა? კაცმა გვნახა, გვანუგეშა... ნუ-თუ ჩემი ოჯახი მუდამ ასე ობლად დარჩება? (მოაჯირს დაეყრდნობა და ქვითინებს, ბავშვები მივარდებიან).

ორივენი. ბებიკო! ბებიკო! (აქით-იქიდგან ამოუდგებიან და მიეხუტებიან ნუგრებით).

გრუშნევს. ილიკო, რა მოჰხდა? გაგვიზიარე მაგ წერილის საიდუმლოება; მთელი სკანდალი მოახდინე!

ილიკო. დიდი რამ მოხდება, ევგენი პავლოვიჩ, დიდი რამ!

გრუშნ. შენს ცხოვრებაში თუ?

ილიკო. დიაღ.

გრუშნ. ვისგან არის ეს წერილი?

ილიკო. ამ საათში გაიგებთ. სოსიკო, მოდი აქ და ხმა მაღლა წაიკითხე. (სოსიკო ჩამოდის აივნიდგან მოწყენილი, გამოართმევს წერილს და კითხულობს): «ღრმად პატივცემულო ილია ივანეს ძევ! ორ წლინახევრის დაკვირვება, ვგონებ, საკმარისია, რომ უკანასკნელი სიტყვა მოგახსენოთ. ვერავითარმა გარემოებამ ვერ დაარღვია ჩემი თქვენდამი უზომო სიყვარული და თქვენდამი ღრმა პატივისცემა. ორივე გრძნობა ექვემდებარებოდა თანდათანობის კანონს და დღეს უმაღლესს წერტილამდის ავიდა. ჩემ ძმასთან დარჩენა ამდღიდგან შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან იმასთან მე ეხლა აღარაფერი მაერთებს. ისე ჩაუძირავს საცოდავი ცხოვრების სიდუხჭირეს წუმპეში, რომ მისი ოჯახი დღეს არაფრით არ განსხვავდება საროსკიპოსაგან. მთელ ამ ორის წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჩვენს ოჯახს და იმ ცხოვრებას, რომელმაც სულ ერთიან ჩაჰყლაპა ჩემი უბედური ძმა; რაც დრო მიდიოდა, სულ ერთი მეორეზე უსაშინლესი უფსკრული მეშლებოდა თვალ წინ, მაგრამ ის სცენები, რასაც მე, ჩემდა უნებურად ამ დღეში წავაწყდი, ყველას აღემატება. აი საქმე როგორ არის: როგორც გაიგებდით, ამ დღეებში გვეწვია ინჟინერი გელოვანიძე, რომელსაც ამ ორის თვის წინად ვუთხარი უარი ცოლობისა. თითქმის ბოდიშიც კი მოიხადა ჩემს წინაშე, და ძმობა შემომფიცა. მაგრამ ახლა, ამოსვლის მესამე დღესვე, გაიმეორა ისევ თავისი და, რა პასუხსაც მივცემდი, თქვენც კარგად წარმოიდგენთ. მაგრამ მის საქციელში ყველაზედ საშინელი ის არის, რომ ჩემის რძლის დიდი ხნის საყვარელი ყოფილა და ჩემი შერთვა მისის დაახლოვების წყურვილითაა გამოწვეული, (ყველანი გაოცდებიან, მაიკო თავს წამოჰყოფს). ამ საზიზღრობის უტყუარი საბუთი მაქვს ხელში, როგორც ბარათი, ისე... ოჰ! საშინელებავ, ნეტავ მოვმკვდარიყავ და არ მენახა. დიაღ, საქმე ასეა და ეხლა თქვენ მიერ იმედის გაცრუება, თქვენი ყოყმანი, მაიძულებს თავი მოვიკლა, რადგან უშენოდ ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია. მე შენი ვარ, შენი კუთვნილი, შენი საუკუნო თანამგზავრი, ჩემო ხალხის შვილო, ბრბოს გამაადამიანებელო! მეყვარები არა-ჩვეულებრივის სიყვარულით. ჩვენს სიყვარულში ჩავაწნავთ ჩვენი ხალხის სიყვარულს და ვივლით ერთად, ერთის აზრით გამსჭვალულნი, ერთის ბილიკით; თვით უმწვერვალესს ტკივილებსაც არად მივიჩნევ, ჩემო თავმოსაწონებელო გმირო. შენით გავიცან ცხოვრების ნამდვილი სახე, შენით ავმაღლდი გონებრივად, შენითვე შემრჩა მე ეს ზნეობა და ამიტომაც მსურს ჩემი ღრმა რწმენის მიხედვით ამოგიდგე მხრებში და ვწიოთ ერთად ცხოვრების ჰაპანი. მსურს, რომ ხვალ ჩემ ახალ ოჯახს ვეწვიო და საღამოს ჯვარიც გადავიწეროთ. შენი საუკუნოდ ტასო». (ბავშვები შეჰკივიან): ძია! ბებიკო! ევგენი პავლოვიჩ!

გრუშნ. ის ქალი მართლა რომ გმირია. ილიკოს ცოლი სწორედ ის უნდა ყოფილიყო.

მაიკო (სერიოზულად). ბედი ხომ არ დაგვცინის, შვილო?

ილიკო. ბედი ჩვენ დაცინებას ვერ გაჰბედავს, ჩემო დედა.

მაიკო. ვაი თუ მტერ-დუშმანებს კიდევ ნიშანში ვყევართ ამოღებული, ვაი თუ შენი მოტყუილება სურთ, ვაი თუ კიდევ ყელი გამომჭრან!

სოსიკო. სუ, ბებიკო, სუ! ნუ შეურაცხჰყოფ მაგ ეჭვიანობით იმ წმიდათ წმიდას, რომელიც ხვალიდგან შენის ოჯახის უსაჭიროესი წევრი გახდება.

ილიკო. დედა! ის მიწვევს მე და უნდა მივეგებო კიდეც ღირსებისამებრ. იმის შიშით, რომ ვიღაც ნაცარ-ქექია შურს იძიებს და მეც ჩემ დათიკოსავით გამაგორებს, უკან არ დავიხევ. ჩემ შერცხვენას ჩემი კუბო გერჩივნოს. ტასო თვით აზრია, ჭეშმარიტებაა და მეც მარტო აზრსა და ჭეშმარიტებას გავუწვდი ხელს სამეგობროდ და არა საკაცნელად მოღერებულ ფუნთუშა ლოყებს. ტასოს, სიყვარულისა და სათნოების ღმერთს, სიმართლე ჰგზავნის აქ, რომ ჩამოფხრიწოს ეს სულის შემხუთველი სამგლოვიარო ძაძა და თავისი ღრმა მნიშვნელობით ცხოველ მყოფელ ჰყოს ჩვენი მხარე. ეს არის და ეს!

გრუშნ. უადგილოა შენი ეჭვები, მოხუცო, მაშინ როცა ამის გულისთვის ქალმა უარი უთხრა მილიონერს, უგანათლებულესს თავადს, ბარონ ვუნდერიკს, მთავრის შვილს, პალატის პროკურორს და მდიდარ ინჟინერს.

სოსიკო. ბიძა ჩემო! გილოცავ და გაძლევ პირობას, რომ მე მეყვარება კნიაჟნა შენის შეყვარებისა და ჩვენის თანაგრძნობისათვის. ახლა უფრო ვეცდები ვისწავლო, კაი კაცი გამოვიდე, იმიტომ რომ ის გავახარო, ის გავაბედნიერო!

ოლინკა. აგრეთვე მეც, ჩემო ძია.

მაიკო. (დაიჩოქებს და აღაპყრობს ხელებს მაღლა) ღმერთო, ყოვლად ძლიერო კვლავ მაინც დაიფარე ჩემი ტანჯული ოჯახი განსაცდელისაგან!

გრუშნ. აგრეც იქნება, რადგან ღმერთი იგივ სიმართლეა და სიმართლე კი მუდამ ძლეული ვერ ივლის ამ ქვეყნად!.. (ფარდა).

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ვისმ,

წრფელს, ერთგულს ძეს მართლ-მადიდებლის ეკლესიისას და მის წმინდანთა პატივისმცემელსა. მთელს რუსეთის პირზე მოფენილია ხმა თქვენის კეთილსახიერის ქრისტეანულის მიმართულებისა. რომ ეს ლიტონი სიტყვა არ არის, მოვიგონოთ მხოლოდ საროვი და ტვერი. გაკურთხოს — მცა თქვენ უფალმან და მოგანიჭოსმცა ძალა მხნეობისა და გამარჯვებისა ყოველთა კეთილ დაწყობილებათა თქვენთა».

სუეცი. (რეიტერი). მოვიდენ «პეტერბურგი» და «სმოლენსკი.»

მადრიდი. (გავასი). საზღვაო მინისტრმა სთქვა ლაპარაკის დროს, რუსის კრეისერს «თერგს», რომელიც ლასპალმასშია, აუკრძალეს 2 ათასი ტონის ნახშირის დადება.

სტამბოლი. (ვოლფი). სალონიკის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს ერზერუმის გუბერნატორად ნამყოფი რეუფ-ფაშა.

ჰააგა. (რეიტერი) გარეშე საქმეთა მინისტრი თხოულობს 10 ათას გულდენს პეკინში მისიის დასაცავად,

11 სეკდემბერი.

ვილნო. 10 სეკდემბერს. უმაღლესი დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზედ: **„გულითა ვმადლობ სამღვდელოებათა წარმომადგენელთ, უწყებათა და სხვა წოდების წარმომადგენელთ, ქალაქთა და სასწავლებელთა იმ გრძნობათათვის, რომელიც მე გამომიცხადეს იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ძეგლის სადღესასწაულო კურთხევის გამო. ნიკოლოზ“.** ეს ყოვლად მოწყალე დეპეშა იყო პასუხი შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგის დეპეშისა: «დღეს მის იმპერატორებითის უმაღლესობის ხელმწიფის და დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის თანადასწრებით აკურთხეს იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს ძეგლი. ამ დღესასწაულზედ დამსწრე აუარებელნი წარმომადგენელნი სამღვდელოებისა, სხვა და სხვა უწყებისა, თავად-აზნაურობისა და სხვა წოდებათა დასის წარმომადგენელთა ფერხთა ქვეშე თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ჰფენენ უქვეშევრდომილესობის გრძნობათა. ბედნიერად მიმაჩნია, ჩემი თავი, რომ ამ ამბავს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას.

ლიაოიანი, 7 სეკდემბერს. (რეიტ.). დაიწყო სიცივეები და ძანძახი. იაპონელთა ჯარებს კარვები არა აქვთ და ძალიან აწუხებთ ცუდი ამინდები. რუსთა რაზმნი სდარაჯობენ იაპონიის ჯარის ორთავე ფრთის შუბლსა. ბრძოლა გამუდმებულია. ოფიციალურ ცნობით, იაპონელთა ზარალი 12 აგვისტოდან 22-მდე 21,000 კაცამდეა.

სეული. იაპონიის ჯარები გენზანიდან ხამხინს მივიდნენ. სამი კორეელი, რომელთაც სცადეს რკინის გზა გაეფუჭებინათ სეულს ახლოს, დახვრეტილ იქმნენ იაპონელთაგან. რკინის გზის კეთება ფუზან-სეულისა ისე სასწრაფოდ მიდის წინ, რომ იმედი აქვთ სულ გავათავებთ ნოემბრამდეო.

სუეცი. (რეიტერი). «სმოლენსკი» და „პეტერბურგი“ არხში შევიდნენ და აქაურის რუსის კონსულისაგან ინსტრუქცია მიიღეს.

ლასპალმასი. (რეიტერი). „თერგი“ შუადღისას ზღვაში გავიდა; საით მიდის, არ იციან.

კობე. (რეიტერი). დურგანის სრუტეში იაპონელთ შეიპყრეს ინგლისის გემი «კრუზადერი», რომელიც პორტლენდიდან ვლადივოსტოკს მიდიოდა; «კრუზადერი» ხაკოდატეს მიიყვანეს.

ტოკიო. (რეიტერი). იაპონიის ლაშქარმა პორტ-არტურთან მიატოვა თხრილის გაყვანას სიმაგრეების ასაფეთქებლად, რადგან საძნელო გახდა. იაპონელებმა დახოცილებს წვა დაუწყეს. ჯერ კი გაუძნელდათ, რადგან ციხიდან ძალიან ესროდენ ზარბაზნებსა. გვამებს ერთად ახორავებენ და მერე ზეთს ასხამენ. დაწვა გვამებისა საჭირო გახდა, რომ ჭირის გაჩენა აიცდინონ თავიდან. ისე ძრიელ გავრცელდა ჰაერში სუნი, რომ დალნისაც კი უწია და შეაწუხა.

ლონდონი. (რეიტერი). «ტაიმსშია» გამოცხადებული ოქუს მოხსენება მემარცხნე ლაშრის მოქმედების შესახებ ლიაოიანთან 17-დან 22 აგვისტომდე. ოქუ ლაპარაკობს იმ დაბრკოლების შესახებ, რომელიც გაუწია ჯარს რუსის საკერმა სიმაგრეებმა, და იხსენიებს რუსის არტილერიის სროლასა. იაპონელთა იერიშები მოჰყვა ამ არტილერიის ცეცხლ ქვეშა და შეიმუსრა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსებმა ყველა ადგილას მედგარი წინააღმდეგობა გასწიესო.

ტოკიო. (რეიტერი). გენერალი ნიკოლსონი, მთავარი სამხედრო აგენტი ინგლისისა იაპონიის ლაშქარში, მოვიდა ტოკიოს აღტაცებული რუსის ინჟინრების ხელოვნებითა.

მოსკოვი. სასწავლებლების დირექტორებს თათბირი ჰქონდათ, დააფუძნონ მხცოვან პედაგოგთათვის თავშესაფარი. გადასწყვიტეს ყოველ თვე გადასდონ ამ ახალის დაწესებულებისათვის თანხის შესადგენად ფული. — ქალაქის სამზრუნველოები თავის დაწესებულებებში მიიღებენ შორეულ აღმოსავლეთში დახოცილთა და დაჭრილთა შვილებსა.

ბაქო. მოვიდა ემირი ბუხარისა. გრაფი შუვალოვი ასტრახანს წავიდა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზე 10 სეკდემბრის თარიღითა: «ბრძოლის შესახებ 10 სეკდემბერს არავითარიმე მოხსენება არ მოსულა. მტერს მთელს ფრონტზე საწინააღმდეგო არა დაუწყვიარა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობასა».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

10 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,83
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,50
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¾ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	88⅝ მშ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	384 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	300¼ ნ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	254 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	85 წვ. გაყ.
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	89¼ წვ. გაყ.
6% ქუთ. სააღ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	86¾ წვ. გაყ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

Денисовскiй

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 6—12)



ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)
ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)
სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.
სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.
ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.
ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
(14—266—14). ალ. გ. საათაშვილი.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევვისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—20)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.
კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს.



რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდაი ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნიეშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.
(60—48).

Дозволено цензурою Тифлисъ 11 сентября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарія